კურიკულუმი

(შედგენისას გამოყენებული უნდა იყოს ქართული უნიკოდი (Sylfaen))

ფაკულტეტის დასახელება	(საჭიროა მივუთითოთ, რომელ ფაკულტეტზე ხორციელდება პროგრამა.)
პროგრამის დასახელება	(პროგრამის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს.)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	(საჭიროა განისაზღვროს მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე.)
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	(უნდა განისაზღვროს მთელი საბაკალავრო პროგრამის მოცულობა კრედიტებში, მიეთითოს პროგრამაზე სწავლისთვის გათვალისწინებული სემესტრების რაოდენობა. ასევე საჭიროა გაიწეროს საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი ნაწილები და თითოეული მათგანის მოცულობა კრედიტებში. მაგ.: პროგრამის ხანგრძლივობა: 240 კრედიტი ძირითადი (major) პროგრამა - 180 კრედიტი (minor) პროგრამა/თავისუფალი კრედიტები - 60 კრედიტი)
სწავლების ენა	(საჭიროა მითითება, რა ენაზე მიმდინარეობს სწავლება.)
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	(საჭიროა პროგრამის შემუშავების/განახლების თარიღის მითითება.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;
პროგრამის მიზნები	(საჭიროა განისაზღვროს პროგრამის მიზანი, რა ცოდნას და როგორი ცოდნის მიღებას სთავაზობს პროგრამა სტუდენტს. პროგრამის მიზანი უნდა შეესატყვისებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოთი პირველი საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებს. საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს უნდა აძლევდეს ზოგად და ფართო ცოდნას, რაც გულისხმობს დარგის მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების, დარგის ზოგიერთი გამორჩეული ან ახალი ასპექტის შესწავლას, კვლევის ძირითადი მეთოდების დაუფლებას. აქვე ჩაიწერება ძალიან მოკლედ ზოგადი მოდულის მიზანი, რასაც მოიცავს თითქმის ყველა საბაკალავრო პროგრამა (იმ შემთხვევაში თუ პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია).
სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი) სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა იყოს დარგობრივ სტანდარტთან დარგობრივი სტანდარტის არსებობის შემთხვევაში. სწავლის შედეგებში აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა შესაძლებელი უნდა იყოს.	
ცოდნა და გაცნობიერება	რა ექნება შესწავლილი კურსდამთავრებულს და როგორი ცოდნა ექნება დარგში? კურსდამთავრებულს დარგში ზოგადი და ფართო ცოდნა უნდა ჰქონდეს, შესწავლილი უნდა ჰქონდეს დარგის მთავარი პრინციპები, თეორიები და კონცეფციები, დარგის ზოგიერთი გამორჩეული ან ახალი ასპექტი,
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	კურსდამთავრებულს რა კვლევის მეთოდები ექნება შესწავლილი, როგორ გამოიყენებს ცოდნას პრაქტიკაში. კურსდამთავრებული დაუფლებული უნდა იყოს მის მიერ არჩეული სფეროს ძირითადი კვლევის მეთოდებს და უნდა შეძლოს წინასწარ განსაზღვრული მითითებებით კვლევითი ან პრაქტიკული პროექტის განხორციელება.
დასკვნის უნარი	გავწეროთ, კურსდამთავრებულს რამდენად შეუძლია დასაბუთებული დასკვნის გაკეთება, ლოგიკური მსჯელობა, გარკვეული მონაცემებით ოპერირება, სინთეზი, ანალიზი და ა. შ.
კომუნიკაციის უნარი	გავწეროთ, რამდენად შეძლებს კურსდამთავრებული მშობლიურ და უცხო ენაზე სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ურთიერთობას, როგორ ფლობს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
სწავლის უნარი	როგორია კურსდამთავრებულის სწავლის უნარი?

	ბაკალავრს უნდა შეეძლოს საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
ღირებულებები	დარგთან დაკავშირებით რა ღირებულებები უყალიბდება კურსდამთავრებულს პროგრამის ფარგლებში? როგორ გამოიყენებს თავის საქმიანობაში დარგში არსებულ ეთიკურ ნორმებს?
სწავლების მეთოდები	(უნდა განვსაზღვროთ პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები)
პროგრამის სტრუქტურა	(საჭიროა აღიწეროს პროგრამის სტრუქტურა, რა მოდულებისგან შედგება, თითოეული მოდულიდან კრედიტების რა რაოდენობა უნდა დააგროვოს სტუდენტმა (ანუ მთლიანობაში პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა როგორ უნდა დააგროვოს სტუდენტმა).)
შეფასების წესი	(მითითებული უნდა იყოს პროგრამით გათვალისწინებული შეფასების სისტემა და ქულების განსაზღვრებები. შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად: (A) 91-100 ფრიადი (B) 81-90 ძალიან კარგი (C) 71-80 კარგი (D) 61-70 დამაკმაყოფილებელი (E) 51-60 საკმარისი (FX) 41-50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება (F) 0-40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი)
დასაქმების სფეროები	(განსაზღვრული უნდა იყოს, სად შეიძლება დასაქმდეს კურსდამთავრებული.)
სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები / რესურსები	(საჭიროა მითითება, რა რესურსები/დამხმარე პირობები გამოიყენება პროგრამის განხორციელებისას.)